პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

11 ოქტომბერი
სამშაბათი

1884 განაჩენი 14-ის პროცესის გზით: 8-ს მიესაჯა სიკვდილი; სასიკვდილო მოიყვანეს 2-ის მიმართ: დანარჩენი შლისელბურგის ციხეში ჩასვეს.

1884 ლონდონში მიტინგზე სხვა და სხვა ქვეყნების მუშების მონაწილეობით დადგენილი იქნა მუშათა საერთაშორისო საზოგადოების—I ინტერნაციონალის შექმნა.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა [illegible] უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის და ფასი
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ გამგეობის განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

დღიური

რუსეთ-პოლონეთის წარმომადგენლებმა შეთანხმებას მიაღწიეს უკანასკნელ ნოტებში [illegible] სადაო საკითხებში.

რ. ც. ა. კომიტეტმა გამოაცხადა [illegible] ფო. ბანკის დაარსების შესახებ.

იტალიის მთავრობამ ნება არ დართო ამხ. ლუნაჩარსკის იტალიაში შესვლაზე, კომპარტიის ყრილობაზე დასასწრებად.

სამოქალაქო ომი ამერიკაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 182 სამშაბათი, 11 ოქტომბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 11 ოქტომბერი, 1921 წ. № 182

ჩვენი აგიტაცია

საგიტაციო მოღვაწეობა ეს ერთი უმთავრესთაგანი დარგია ჩვენი ყოველდღიური პარტიული მუშაობის. მისი სისტემატიური და მიზანშეწონილად წარმართვა, მიმდინარე მომენტის მრავალ საჭირბოროტო კითხვებიდან უმნიშვნელოვანესის გამოყოფა და მათზე მასების ყურადღების მიპყრობა არის ერთი დიდი ამოცანა. ჩვენი საერთო პარტიული მუშაობის სისტემაში მისი გადაუჭრელობა დიდი დამაბრკოლებელია ამ მასების პოლიტიკურად აღზრდისათვის, რომელზედაც ჩვენ უნდა გავაფართოვოთ ჩვენი პარტიული გავლენა, ან განვამტკიცოთ უკვე რამოდენიმეთ მიღწეული ასეთი გავლენა. ხოლო შემჩნეულია კი, რომ მასებს აღარ აკმაყოფილებს ის ფორმები აგიტაციის, რომლებიც ამდენხანს იყო ხმარებაში. ჩვეულებრივ კრებებს ეგრედ წოდებულ მომენტზე ესწრებიან რამოდენიმეთ სიხარბით, ის აღარ იტაცებს მრავალ ასეთ კრებებზე შეკრებილ მასებს და ამრიგად პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა პარტიის ზოგიერთ ალაგას ამით ფერხდება და ვერ ვითარდება. ეს მოვლენა არ არის დამახასიათებელი მხოლოდ ჩვენთვის. მას ადგილი ჰქონდა და აქვს დღესაც რუსეთში და ბუნებრივია ამ ნაკლის გამოსასწორებლათ მიღებული სათანადო ზომები. ეს ზომები შეეხება პარტიული აგიტაციის ფორმის შეცვლას. ეს ფორმებია: ზეპირი ანუ „ცოცხალი გაზეთი“, პოლიტიკური გასამართლება, დისპუტები, ცოცხალი საუბარი. რაც უფრო მეტი საშუალება ეძლევა კრებაზე დამსწრეთ აქტიურათ მიიღონ მონაწილეობა კითხვის გარჩევაში, რამდენადაც უფრო მასა ხდება არა ობიექტათ ასე ვსთქვათ, არამედ სუბიექტათ აგიტაციის, რამდენადაც ის იძულებული არ არის იყოს მხოლოთ მსმენელი ორატორის, იმდენათ მეტი სიცხოველით ატარებს საგიტაციო კრება, მით უფრო ნაყოფიერი ხდება პოლიტიკურათ გავლენა ასეთი კრებების და მეტ კვალს სტოვებს ის მასებში. პროვინციის მრავალ ადგილებში, სადაც კრებები და მიტინგები ძვირათ ეწყობა, ცხადია, კითხვა აგიტაციის წარმოების ფორმის შესახებ არც წამოჭრილა ჯერ. აგიტაციის ფორმის გამოცვლის შესახებ ნაკლებათ შეიძლება ლაპარაკი ისეთ კრებების ან მიტინგების შესახებაც, რომლებიც მოწვეულნი არიან რაიმე არა ჩვეულებრივი მოვლენის გასაშუქებლათ, რომელიც ყოველ მომენტში იკრებს თავისკენ ქვეყნის მთელ ყურადღებას და შეეხება უმეტესს საკითხს ამ თუ იმ დროის. ლაპარაკია მხოლოდ იმ სისტემატიურ საგიტაციო კრებებზე, რომელიც იმართება ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობის [illegible] არემოებებში და ისიც იქ, სადაც შეუწყვეტელი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სწარმოებს. ასეთ ალაგას და ასეთ პირობებში აუცილებელი ხდება აგიტაციის ფორმების შეცვლა.

ჩვენი აგიტატორული ძალები უნდა გადავიდნენ სწორედ ასეთი მუშაობის ტიპზე იქ, სადაც ძველმა ფორმამ აგიტაციის შესწავლა ინტერესი კრებებისა და, რამოდენიმეთ, პოლიტიკური კითხვების. მასების მეტი აქტიურათ ჩარევა საგიტაციო მუშაობაში, მათი სხ მუშაო დაწესებულებებისათვის საინტერესო კითხვების წამოყენება და გარჩევა, მეტი დაახლოვება მათ ყოველდღიურ პრაქტიკასთან, ყოველდღიური ცხოვრების საჭირბოროტო კითხვებთან, აგიტაციის შინაარსის გაფართოება უმნიშვნელოვანესი კითხვების ან შედარებით მორეულების; ცოცხალი გაზეთი, საუბარი, პოლიტიკური გასამართლება, დისპუტები—აი ის გზა, რომელზედაც ჩვენ უნდა შევდგეთ, რომ მუშაობა გაცხოველდეს, და პარტიამ თავისი გავლენა შეინარჩუნოს და გააფართოვოს სულ ახალ და ახალ მასებზე.

მუშათა გაფიცვების ტალღა საფრანგეთში

საფრანგეთში დიდმნიშვნელოვანი ამბები ხდება.

ანტანტის კოალიციაში ეს ქვეყანა წარმოადგენდა ყველაზე უფრო აქტიურ მონაწილეს ომის დროს. ყველაზე უფრო მას დაატყდა თავზე ომის საშინელებანი. მთელი უმდიდრესი რაიონები მისი მიწისთან გასწორდა. ნაციონალური სიმდიდრე განიავდა, მეურნეობის უმთავრესი მამოძრავებელი ძალა, ომში გაჟლეტილი მუშათა მასები, ამოწყდა ან დასახიჩრდა, გაჭარბენებულს თავს დაადვა ათეულ მილიარდებით გამოთვლილი შინაური და საგარეო ვალი, ქალაქისა და სოფლის მეურნეობა მოიშალა და ასეთი საერთო გაპარტახებისა და დანგრევის პირისპირ დადგა მთელი ხალხი ამ ომის შემდეგ, რომელსაც, საფრანგეთის იმპერიალისტების მიერ შეთითხნილი იდეოლოგიის თანახმათ, უნდა მოეტანა ხალხისა განთავისუფლება, მილიტარიზმის სამუდამო შემუსვრა კონტინენტზე, მატერიალური და სულიერ კულტურული ამაღლება გერმანიის ეკონომიური ძლიერების განადგურების შემდეგ, ერთი სიტყვით შინაური ცხოვრების მდგომარეობის გაუმჯობესება,—და ხოლო მშრომელი მასების ეკონომიური შვება და ლხენა. ომის შემდეგმა წლებმა ეს ტკბილი სიზმარი საშინელ სინამდვილით შესცვალა და მწარეთ იქცა. თუ ასეთი მდგომარეობის გარკვევას და პესიმისტური გარემოების შეგნებას ხალხის მიერ, ომის დათავების შემდეგ პირველ დღეებში კიდევ ხელს უშლიდა ნაშთი იმის დროს გაბატონებული „გამარჯვებით“ იდეოლოგიის და „გამარჯვებით“ გამოწვეული „უნივერსალური ბედნიერება“ საფრანგეთის ნაციონალისტური წრეების, მათი შოვინისტური ვაკხანალია, რომელმაც ჩაითრია საკმაოთ ფართო წრეები საზოგადოების—დღეს ყოველივე ეს იფანტება, საგრძნობლადაც გაიფანტა. გამოფხიზლება დაიწყო, როგორც ეს ბუნებრივიც არის, პირველ ყოვლისა მუშათა კლასის და გლეხთა [illegible] კაცობას. ამის ნათლად მოწმობს სოფლის მეურნეობაში ჩამოშლილი მუშათა საერთო უკმაყოფილება, განსაკუთრებით სამრეწველო ცენტრების პერიფერიებში და ის ტალღა სამრეწველო პროლეტარიატის გაფიცვების, რომელიც მოედო ამ ბოლო ხანებში მთელ საფრანგეთს. 1) ცხოვრების სიძვირე, 2) მუდმივი მაზრის მიშლის გამო კაპიტალისტებისათვის შეუძლებლათ გამხდარი მსუქანი მოგების მიღებლობა და ამ მიზეზით გამოწვეული მათი ცდა დანაკლისის რამოდენიმეთ ანაზღაურების მუშათა ხელფასის საყოველთაო შემცირებით, 3) რეაქციონური კურსი მთავრობის, როგორც შიგნით ისე საგარეო პოლიტიკაში, მისი საშინაო და ახალი ავანტიურისათვის ამზადება ევროპაში—აი საერთოთ ის პირობები, რომელთა გავლენით მუშათა კლასი ფეხზე დგება და აქტიურ ბრძოლაზე გადადის დღეს საფრანგეთში. უკანასკნელი დეპეშები მოსკოვიდან და ბერლინიდან მოწმობენ სიმწვავეზე, რომელსაც იღებს ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის. ამ სიმწვავეს ხელს უწყობს ძლიერი კომუნისტური პარტია საფრანგეთის და სინდიკატების ის ნაწილი, რომელიც შედიან წითელ პროფკავშირების ინტერნაციონალში. „ხელფასის მომატება“ და „ძირს ომი“ აიღეთ ლოზუნგები ბრძოლის დასაწყისის პერიოდის. და ეს საკმაო შეიქნა, რომ ბრიანის მთავრობას სამხედრო ძალა დაეძრა გაფიცვის რაიონებისკენ და დღის წესრიგში ხიშტი დაეყენებინა. ეჭვი არ არის, რომ „Lunion sacrée“, ის სამოქალაქო ზავი, რომლითაც შებოჭილი იყო ომის გათავების პერიოდის ხანებშიაც საფრანგეთის პროლეტარიატი ბურჟუაზიის მიერ ხალხის და სოციალ გამცემლების ენერგიული ხელის შეწყობით, საბოლოოთ დაირღვევა და ამდენ ხანს დაუჩაგრული მოთმინებისა საფრანგეთის მავა იმპერიალისტური რეაქცია და კლერიკალური შოვინიზმი პირისპირ შეხვდებიან ბრძოლაში ჩაბმულ რევოლუციონურ ნაწილს საფრანგეთის პროლეტარიატისას. საფრანგეთია დღეს რეაქციის ბუდე უძლიერესი ([illegible]) რეაქციონური მთელ კონტინენტზე და პროლეტარიატის დიდი გამოსვლა, როგორათაც არ უნდა დამთავრდეს ის ახლო მომავალში, მაგარ ლაგამს ამოსდებს ამდენ ხანს ალვირ ახსნილ ავაზაკობას საფრანგეთის იმპერიალისტების და გააძლიერებს საერთო რევოლუციონურ ბრძოლას ევროპაში. მსოფლიო რევოლუციის დღეს მოქმედ ფრონტს, დიდი ბარიკადის ჩვენ მხარეს ახალი აქტიური წევრი ემატება და ის მნიშვნელოვან ძალით შეიჭრება რევოლუციის აქტივში. დაწყებული მოძრაობა საფრანგეთის პროლეტარიატის მაჩვენებელია იმისაც, რომ რეფორმისტულ ელემენტებს მუშათა კლასისა საფრანგეთში ხელიდან უსხლტებათ ოდესღაც მათი მორჩილი „სამწყსო“ და ის აშკარათ თავს იჭერის, რევოლუციონური ნაწილების შეგნებით, კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, რომელიც მიანიჭებს მას საბოლოო გამარჯვებას და რეაქციის დასამარხებს.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა

პრესაში უკვე არა ერთხელ აღნიშნულა, რომ საბჭოთა ხელისუფლების ახალი პოლიტიკა გაუგებარი რჩება არა თუ ბევრ უპარტიოთათვის, არამედ კომუნისტური პარტიის ზოგიერთ წევრებისთვისაც. სხვებისთვის ის შეიქნა რაღაც მოულოდნელი. ჩვენ უკვე არა ერთხელ აღვნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების ეგრედ წოდებული ახალი პოლიტიკა არის კომუნიზმის ტრადიციული პოლიტიკა წვრილ ბურჟუაზიული სტიქიის მიმართ, რომ ის [illegible] იყო უკვე „კომუნისტურ მანიფესტში“ 1847 წელს, რომ მას შემდეგ ამუშავებდნენ თავიანთ ნაწერებში ენგელსი და კაუცკი (ომის წინა პერიოდის), რომ მას ქადაგებდნენ ფრანგი კომუნისტები და სხვ. და თუ კიდევ მოიძებნებიან ამხანაგები, რომლებიც მასში ხედავენ რაღაც ახალს, თითქოს კომუნიზმის ძირითად პრინციპების საწინააღმდეგოს, ეს მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ ისინი ცუდათ არიან გაცნობილი კომუნისტურ პროგრამის განვითარებას.

ახალ ეკონომიური პოლიტიკის, უკეთ რომ ვთქვათ, კომუნისტურ ეკონომიური პოლიტიკის ძირითადი პრინციპი მდგომარეობს იმ დებულებაში, რომელიც წამოაყენა ჯერ კიდევ „კომუნისტურმა მანიფესტმა“. როდესაც პროლეტარიატი დაეპატრონება სახელმწიფო ძალა უფლებას, მან უპირველეს ყოვლისა უნდა აღწიოს შრომის წარმოების ნაყოფიერება და გაამრავლოს მატერიალური სიმდიდრის რაოდენობა. სხვა სიტყვებით, მან ეკონომიურათ უნდა გაამართლოს სოციალური გადატრიალება. ისტორიაში ერთი რეჟიმი მეორე სცვლიდა და ამასთან, ყოველი ახალი რეჟიმი მეურნეობის თვალსაზრისით ხდებოდა უფრო სასარგებლო და ნაყოფიერი ვიდრე ძველი. სწორედ ამაშია ახალი კლასის პოლიტიკური ბატონობის გარანტია. ამის გარეშე არც ერთ კლასს არ შეუძლია დიდი ხნით შეინარჩუნოს პოლიტიკური ბატონობა. მაშასადამე, პროლეტარულ დიქტატურის განმტკიცებისათვის ჩვენი მეურნეობა უნდა ავიყვანოთ განვითარების უმაღლეს საფეხურამდე და გავამრავლოთ საზოგადოების განკარგულებაში მყოფი მატერიალური სიმდიდრე.

სწორედ, ეს მიზანი აქვს უმთავრესათ დასახული საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ პოლიტიკას. მან გამოიყენა წარსული სამი წლის გამოცდილება და თავის მიზნის განსახორციელებლად წამოაყენა ინიციატივის განვითარება, ადგილობრივ ორგანოების, კოლექტივის და კერძო მწარმოებლების თვითმოქმედება. ამასთან ერთად, სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის საბჭოთა ხელისუფლებამ ანგარიში გაუწია მწარმოებლების პირად ინტერესებს, როგორც სასოფლო-სამეურნეო დარგში, ისე მრეწველობაში. მაგრამ როგორც ბრძენი პატრონი, რომელიც დგას სახელმწიფოებრივ თვალსაზრისზე, საბჭოთა ხელისუფლება ცდილობს, ხორცი შეასხას თავის დასახულ მიზნებს, ცალკე მოქალაქეთა და ჯგუფთა პირადი და სახელმწიფოებრივი ინტერესების გონიერი შეფარდებით. სწორედ ასეთია დედა აზრი ბოლო ხანის ყველა დეკრეტების, რომლებიც კი ეკონომიურ აღმშენებლობას ეხება. უწევს რა ანგარიშს გლეხობის წვრილ მესაკუთრეობის ინდივიდუალურ მისწრაფებებს, აფართოებს და აუმჯობესებს რა სასოფლო-მეურნეობას, საბჭოთა ხელისუფლება ამასთან ერთად აძლიერებს საერთო სახელმწიფოს რესურსებს და ამრავლებს იმ ნედლი მასალის და სანოვაგის ფონდს, რომელიც აუცილებელია მრეწველობის აღსადგენათ. როდესაც ანგარიშს უწევს მუშების პირად ინტერესებს, საბჭოთა ხელის უფლება ამასთანავე ცდილობს გააძლიეროს სამრეწველო პროდუქტების რიცხვი, რომაც ერთი მხრით ხელი უნდა შეუწყოს ინდუსტრიის შემდეგ განვითარებას და მეორე მხრით, აამაღლოს სასოფლო მეურნეობის ინტენსივობა ე. ი. შექმნას ახალი წყაროები მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მრეწველობის გასავითარებლად და ს. ს. და სხ.

მაგრამ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაში არის კიდევ ერთი ხაზი და სწორედ ის აფიქრებს ზოგიერთ ამხანაგებს. სამეურნეო შედეგების მაქსიმუმის მისაღწევად, საბჭოთა ხელისუფლებამ ანგარიში გაუწია არა თუ გლეხების და მუშების პირად მისწრაფებებს, არამედ ზოგიერთ ბურჟუაზიულ ელემენტების სურვილებსაც. ამის მაგალითს იძლევიან იჯარით გაცემის, თავისუფალ ვაჭრობის და სხვ. შესახებ დეკრეტები. სწორედ ამ დათმობას საბჭოთა ხელის უფლებისა მოწინააღმდეგენი, ხაზს უსვამენ როგორც „კაპიტალიზმის წინაშე კაპიტულიაციას“ და აღელვებენ ზოგიერთ ამხანაგებს. ისინი ხედავენ ამაში დიდ საშიშროებას კომუნიზმისა და საბჭოთა ხელის უფლების არსებობისათვის.

ჩვენ ვერ უარვყოფთ, რომ ცნობილი საშიშროება აქ, რასაკვირველია, არსებობს, კიდევ მეტი, პრესაში უკვე არა ერთხელ იყო აღნიშნული, რომ ამ დათმობაზე საბჭოთა ხელის უფლება იძულებით მიდის. სხვა პირობებში, მაგალითად, რომ დაგროვებული რესურსები და აგრეთვე პროლეტარიატის მიღწეული მაღალი ორგანიზაციული გამოცდილება, გვაძლევდეს საშუალებას საკუთარი ძალებით გამოვიდეთ კრიზისიდან, მაშინ, ცხადია, საბჭოთა ხელის უფლება არაფრით დათმობაზე არ წავიდოდა ბურჟუაზიულ მეურნეობისადმი. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ მუშათა კლასის ძლიერება—მის ხელში მყოფ წარმოებების ასამოძრავებლათ, არ კმარა არსებული რესურსები. ეს დამტკიცებულია სამი წლის გამოცდილებით. ამიტომ საბჭოთა ხელის უფლებას მოუხდა არჩევა და მისი არჩევანი გაჩერდა მსხვილ მრეწველობაზე.

რატომ? სრულიად უბრალო მიზეზის გამო. ისტორიული გამოცდილება ჩვენ გვარწმუნებს, რომ პოლიტიკური ძალა უფლება ეკუთვნის იმას, ვის ხელშიც არის მთავარი ეკონომიური სიმაგრეები. ყველა სახელმწიფოებში, ეგრედ წოდებულ დემოკრატიულშიაც, სადაც არის ერთი მხრივ მრავალ რიცხოვანი პროლეტარიატი და მეორე მხრით მრავალ რიცხოვანი წვრილი მესაკუთრეთა ჯგუფები (გლეხებისა და წვრილი ბურჟუაზიის), ნამდვილი ძალა უფლება ეკუთვნით მსხვილ ბურჟუაზიის მცირე ჯგუფებს, ბანკირების და კაპიტალისტების (ტრესტების) პატარა ჯგუფებს, რომლებსაც უპყრიავთ ხელში და მართავენ ინდუსტრიის მთავარ დარგებს (რკინის გზები, ნავთის წყაროები, ნახშირის მაღაროები, მძიმე ინდუსტრია და სხვ.) და პროლეტარიატის დიქტატურა რუსეთში დამყარებულია იმაზე კი არა, რომ თავისუფლებას [illegible] წვრილ-სახელოსნოებზე, შინა მრეწველობის ფაბრიკებზე და სხვ., არამედ იმაზე, რომ მას აქვს ხელში რკინის გზები, ქვეყნის ფინანსიური სისტემა (ახლო მომავალში შეიძლება ბანკებიც), მსხვილი ფაბრიკა ქარხნები და სხვ. ვისაც უნდა შეინარჩუნოს პროლეტარიატის დიქტატურა, მან ყველაზე ადრე უნდა უზრუნველჰყოს ეკონომიური [illegible], ე. ი. [illegible] და ნამდვილი პატრონობა მსხვილი წარმოების უმთავრეს დარგებში.

აქეთკენ მიისწრაფის საბჭოთა ხელისუფლების ახალი ეკონომიური პოლიტიკა, ის ანთავისუფლებს პროლეტარიატს წვრილმან ზრუნვიდან იმისათვის, რომ მთელი ყურადღება მიაქციოს, მთელი მისი ენერგია, ყველა მისი ძალები მოახმაროს მსხვილი მრეწველობის ამოძრავებას, ამაღლებას და თან და თანობით გაფართოვებას. ყოველივე დანარჩენი ამ შემთხვევაში თამაშობს დამხმარე როლს. ყველაფერი, რასაც შეუძლია დაეხმაროს ამ ძირითად მიზანს, ყველაფერი რასაც შეუძლია მოიტანოს ნედლი მასალის ახალი წყაროები, იარაღები და სხვა დასახმარებელი საშუალებანი მსხვილი მრეწველობისათვის, ყველაფერი ეს გამოსადეგია მუშათა კლასისათვის, ყველაფერი ეს აძლიერებს მის დიქტატურას. ამ თვალსაზრისით წვრილ და საშუალო წარმოების იჯარით გაცემა, რომლებსაც არ შეუძლია ამოძრავოს სახელმწიფომ თავის საშუალებებით ან თუნდაც რომ შეეძლოს, ეს საშუალებათა ეკონომიური დახარჯვით, და მსხვილი მრეწველობის შეფერხებით,—არა თუ დასაშვებია, არამედ სასურველი და აუცილებელიც. იმ პირობებში, რომლებშიაც ეს ზომა და ასეთივე სხვებიც, ტარდება საბჭოთა ხელისუფლების მიერ ხდება უვნებლათ, უარყოფითი მხარეები მაქსიმუმამდე ნელდებიან და დადებითი კი იმდენადვე მტკიცდებიან.

და მართლაც, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ბატონობს კაპიტალისტის კერძო ინტერესი, მუშათა კლასის საერთო ინტერესები კი მას მსხვერპლად ეწირება. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კაპიტალისტი გამოდის წარმოების იარაღების შეუზღუდველ მესაკუთრეთ და [illegible] (სწორედ ამიტომ) ისეთ სახელმწიფოს პატრონი, [illegible] ორგანიზატორული და რეპრესიული ძალებას, რომლებიც მიმართულია მშრომელთა მასების წინააღმდეგ და გაბატონებულ კლასის კაპიტალისტების სასარგებლოდ. ასეთ საზოგადოებაში ყოველგვარი ძალაუფლების და კერძო მესაკუთრეების ეკონომიური გავლენის გაფართოება მიმართულია პროლეტარიატის ინტერესების წინააღმდეგ.

მაგრამ საბჭოთა სახელმწიფოში საქმე სრულიად სხვანაირად მდგომარეობს, აქ წარმოებათა იარაღების პატრონი, ფაბრიკა-ქარხნების მესაკუთრე იჯარით გაცემულებისაც კი, არის პროლეტარული სახელმწიფო. აქ პოლიტიკური ძალა უფლება იმყოფება მუშათა კლასის ხელში და მთელი მისი ძლიერი და მძიმე აპარატი ყოველ წამში ემსახურება საკუთარ ინტერესებს და დაიცავს მათ თუ კი რამე საფრთხე მოელის. საბჭოთა სახელმწიფოში ბურჟუაზიულ ბატონობის უარყოფითი მხარეები [illegible] დაყვანილი, წინააღმდეგ, ის დადებითი მხარეები, რომლებიც მას აქვს და რომლებმაც ერთ დროს აიძულეს მარქსი ეცნო ბურჟუაზიის პროგრესიული ისტორიული როლი, შეიძლება გატარდეს საზოგადოებრივ ინტერესების საწინააღმდეგოდ კი არა, არამედ მის სასარგებლოდ, მუშათა კლასის საზიანოდ კი არა, არამედ მის საკეთილდღეოდ. პირველათ ისტორიაში საბჭოთა სახელმწიფო საშუალებას აძლევს მუშათა კლასს გამოიყენოს ბურჟუაზიის მიერ შექმნილი საწარმოვო ძალები საკუთარ ინტერესებისათვის, თავის ძალაუფლების განმტკიცებისა და ეკონომიური საძირკვლის გამაგრებისათვის. ამასთან, ინახავს რა თავის ხელში მთელ სახელმწიფო აპარატს, მუშათა კლასს საშუალება აქვს შეწყვიტოს თავის ცდა იმ შემთხვევაში თუ საბოლოოდ აღმოჩნდება, რომ ის საზარალო და არა სასარგებლო.

თუ ამხანაგები ჩაუკვირდებიან ამ ახალი ეკონომიურ პოლიტიკის ძირითად დებულებებს, მაშინ ისინი ყოველ ეჭვს და შიშს მიატოვებენ და შეიგნებენ, რომ ამ პოლიტიკით საბჭოთა ხელის უფლება შედგა პროლეტარიატის პოლიტიკურ დიქტატურის გაძლიერების სრულიად სწორ გზაზე ეკონომიური საფუძვლის გამტკიცების საშუალებით. „იზვ.“

ი. სტეკლოვი.

საბჭოთა რუსეთი და პოლონეთი

მოსკოვი, 10 ოქტ. (რადიო) (გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან). უკანასკნელ ხანებში რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობის გართულებასთან დაკავშირებით ვარშავაში მოლაპარაკება წარმოებდა პოლონეთში რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენელ კარახანსა და ვიცე მინისტრ დომბსკის შორის. მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს ყველა სადაო საკითხებში, რომელნიც წამოყენებული იყვნენ ნოტების უკანასკნელი გაცვლა-გამოცვლის დროს.

ნაუენი, 8 ოქტ. გერმანიის რადიო იუწყება: პოლონეთსა და რუსეთს შორის სრული შეთანხმებაა მიღწეული რიგის ხელშეკრულობის ასრულების საკითხის გამო.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის მე-4 ყრილობა.

სმიდოვიჩის სიტყვა.

მოსკოვი. 7 ოქტომბერი (რადიო).

სმიდოვიჩმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ გარდა თესვის ამოცანების ჩვენ წინ დგას გადაუდებელი ამოცანა—მოსახლეობის გამოკვება—ახალ მოსავლამდის, ამისთვის საჭიროა ადგილობრივ შეწირულებათა ნებაყოფლობითი მოგროვება. ყველა მოსავლიან გუბერნიიდან ჩვენ გვესაჭიროება თითო ვაგონ პურის მიღება.

ამხ. კამენევის სიტყვა.

ამხ. კამენევი ლაპარაკობს საზღვარ გარეთულ შეწირულებათა მიღებაზე. საერთო ჯამი რუსეთის შიმშილობის საქმის შემოწირულების სახით 5 ოქტომბრისთვის უდრის 567.000 ფუთს, საზღვარ გარეთის სურსათი მშვენიერი ღირსებისა: საუკეთესო ამერიკული თეთრი ფქვილი, დასქელებული რძე, შაქარი და კაკაო.

რეზოლუცია დამშეულთა დახმარების მოხსენების შესახებ.

სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის სესიის მიერ კამათის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია: სესია მიესალმება იმ ენერგიას და უანგარო აღფრთოვანებას, რომელიც განსახიერდა დამშეულთა დახმარების საქმეში მუშათა და გლეხთა ფართო მასების მხრივ, და აღნიშნავს შესამჩნევ გამარჯვებას სიმშილთან ბრძოლის პირველ ნაბიჯებში, განსაკუთრებით 12.000.000 ფუთი სათესლის მიწოდებით. რეზოლუცია მტკიცეთ აღნიშნავს, რომ დახმარების მოწოდებამ სათანადო გამოძახილი იპოვა საზღვარ გარეთის პროლეტარიატის და შეძლებულ კლასების პატიოსან მოქალაქეთა შორის.

კერძოთ, აღნიშნულია მოღვაწეობა არის, ნანსენის, ნორვეგიის, გერმანულ წითელ ჯვრის, კვაკერთა საზოგადოების და სხვათა. რეზოლუცია ჰკიცხავს ამ მთავრობებს, რომელნიც სიტყვით დახმარებას პირდებიან და საქმით კი ცდილობენ შიმშილი კონტრ-რევოლუციონურ მიზნებისთვის გამოიყენონ. სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტი, სიმშილთან ბრძოლის შემდგომ მიზნებისთვის აღიარებს: საჭიროთ ცნოს სასწრაფო დახმარება; ამ ხანამდის არსებულ დახმარებას მიეცეს მუდმივი და ფართო ხასიათი, როგორც საბჭოთა დაწესებულებების და ორგანიზაციების, ისე მუშათა და გლეხთა ფართო მასების მხრით ნებაყოფლობის მუდმივი გადასახადით ახალ მოსავლამდე. საჭიროთ იქნას ცნობილი, მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობით წარმოებულ მუშაობის ფართო ფარგლებში განვითარება გლეხთა მეურნეობის გასაუმჯობესებლად მელიორაციის, სათეს ადგილთა გაფართოვების, მიწის დამუშავების საუკეთესო იარაღების შექმნის გზით, რომ გლეხთა მეურნეობას შეძლება ჰქონ-

ეროვნული საკითხი ჩვენში

VII.

პროლეტარული რევოლუცია.

„ეროვნული ბრძოლა“.

1.

კაპიტალიზმმა ევროპაში ხუთი-ექვსი საუკუნის განმავლობაში მიაღწია განვითარების ისეთ საფეხურს, რომლის შემდეგ იწყება ძველი ქვეყნის ნგრევა და ახლის შენება, იწყება მსოფლიო რევოლუცია.

რევოლუცია! არც ერთი სიტყვა არაა ნახმარი ადამიანის ლექსიკონიდან იმდენნაირი მნიშვნელობით, არც ერთი სიტყვა არ იწვევს ადამიანის წარმოდგენაში იმოდენ მრავალფეროვან სურათებს და არ იტაცებს ისე მაღლა სულსა და გულს მისას, როგორც სიტყვა რევოლუცია.

ის გვიხატავს კაცთა საზოგადოების დუღილს, მის თვალწარმტაც ხანძარს, როცა საზოგადოება განვითარების ერთი საფეხურიდან შემდეგზე, უფრო მაღალზე ადის. ეს არის უდიდესი ისტორიული „ნახტომი“ საზოგადოების მიერ ჩადენილი.

მაგრამ ეს დუღილი, ეს ხანძარი მაშინ იწყება; ეს „ნახტომი“ მაშინ ხდება, როცა საზოგადოების შინაგანი კლასობრივი წინააღმდეგობა განვითარების უმაღლეს წერტილს აღწევს და კლასთა შორის ბრძოლა მეტათ იწვავდება. მაშინ ძველი საზოგადოებრივი ფორმა ირღვევა და ახალი ჩნდება. ასე მოხდა ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გადასვლის დროს, ასე მოხდება და უკვე ხდება კაპიტალიზმიდან სოციალიზმში ანუ კომუნიზმში გადასვლისას.

და აი ამ გადასვლას, ამ უდიდეს და ულრმეს რევოლუციას კარლ მარქსი მოკლეთ, მაგრამ მკვეთრათ შემდეგნაირათ ახასიათებს:

„კაპიტალისტურსა და კომუნისტურ საზოგადოების შორის ძევს ხანა რევოლუციური ერთის მეორეთ გარდაქმნისა. ამ ხანას შეეხამება გარდამავალი პოლიტიკური ხანაც და ამ ხანის სახელმწიფო არ შეიძლება იყოს სხვა რამე, თუ არა, პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა“, (იხ. წერილი ბრაკესადმი, 1875 წ. 5 მაისის, რომელიც პირველათ დაბეჭდილია მხოლოთ 1891 წ. „Neue Zeit“ IX 1.)

როგორც ხედავთ სახელმწიფო ამ რევოლუციის დროს არის პროლეტარიატის დიქტატურა. მაშასადამე ის წარმოადგენს იმ „განსაკუთრებულ“ ძალას, რომელმაც უნდა დაიმორჩილოს განსაზღვრული კლასი—ბურჟუაზია.

პროლეტარიატი კი არის კაპიტალისტური საზოგადოების ყველაზე უფრო დაჩაგრული, გაყვლეფილი კლასი, რომელიც იბრძვის თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის და რადგან ეს ინტერესები მთელი საზოგადოების შემდეგი განვითარების იგივე ინტერესებია, ამიტომ ამ კლასის ბრძოლა ჰქმნის ამ საზოგადოების ახალ ფორმას, ახალ ცხოვრებას.

ამ გვარათ ამ დიდ რევოლუციურ ხანაში პროლეტარიატის დიქტატურა ანუ სახელმწიფო არის ახალი საზოგადოების შემოქმედი.

გამოდის, რომ პროლეტარიატი, როგორც კლასი სახელმწიფოს საშუალებით ჰქმნის ახალ საზოგადოებას, ე. ი. კომუნიზმს. ამ დასკვნას სავსებით ამართლებს რუსეთის მიმდინარე დიდი რევოლუცია, განსაკუთრებით 17 წლის ოქტომბრის დღეებიდან დაწყებული.

ახლა ვკითხოთ: რა ბედი ეწვია ამ რევოლუციაში ერს, ეროვნებას და რა როლს ასრულებს იგი ამ პროცესში?

ეს რომ მემარცხენე ნაციონალ—ფედერალისტებს ვკითხოთ ასე გვიპასუხებენ: **„შეუძლებელია იქვეც შევიტანოთ ეროვნული საქმის გამარჯვებაში. ერების ცხოვრება ეროვნულათ გაიმარჯვებს. ერების მომავალი—ფედერაციაა“**... (ხაზგასმა ჩემია, რ. ქ.) **„დღეს რევოლუციონური მხოლოდ დაჩაგრულ ერის მუშათა კლასია და არა საზოგადოდ მუშათა კლასი“**. (აქ კი ხაზგასმა თვითონ ა. ტ-ს ეკუთვნის.)... „მაშინ, როცა გერმანიამ ომი წააგო და დაკარგა კამერუნი, ტოგო, სამოა, ბისმარკის არქიპელაგი და მთელი ჰეგემონია მცირე აზიაში—გერმანიაში კაუცკის და ბერნშტეინს წინადაგი გამოეცალა, სადაც **ჯერ გილფერდინგი გაბატონდა და შემდეგ კარლოს ლიბკნეხტის ძალა. (?!)** (ხაზგასმა ჩემია, რ. ქ.) „**კლასობრივი ჩაგვრა მუშათა კლასის ბრძოლამ შეამსუბუქა ძალიან.** (ხაზგასმა ავტორისაა, რ. ქ.)... კლასობრივი ჩაგვრა კი არ არის თანამედროვე იმპერიალიზმის უმთავრესი საფუძველი, არამედ მთელი ერების ჩაგვრა—აი მისი მთავარი ძარღვი... თანამედროვე იმპერიალიზმის უმთავრესი ლუკმა კლასი კი არაა, ერებია, ამიტომაა ვინც მთავარ ყურადღებას მარტო კლასობრივს აქცევს, ის რევოლუციის ტალღას სცილდება, ხოლო ვინც დაჩაგრული ერების საქმეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, ის განსაკუთრებულ სამსახურს უწევს რევოლუციას... **სამშობლო მუშის საფუძველია, ეროვნება მუშის სიცოცხლეა**“. (იხ. „ტრიბუნის“ მე 18 №-ში მოწინავე წერილი: „პასუხი“).

გამოდის: რაკი „სამშობლო მუშის საფუძველია, ეროვნება მუშის სიცოცხლეა“, რაკი კლასობრივი ჩაგვრა კი არ არის თანამედროვე იმპერიალიზმის უმთავრესი საფუძველი, არამედ მთელი ერების ჩაგვრა“, ამიტომ მუშათა კლასმა (პროლეტარიატმა) უმთავრესი ყურადღება ეროვნულ ბრძოლას, ეროვნებას და „ეროვნულ მოძრაობას“ უნდა მიაქციოს, ჩაუდგეს სათავეში ამ მოძრაობას და რევოლუცია სრულ გამარჯვებამდე მიიყვანოს.

დიახ ეს ასე ლოღიკურია, მაგრამ ისტორიულ კლასობრივმა თვალსაზრისმა და ანალიზმა ეს სულ წინააღმდეგ დასკვნამდე მიგვიყვანა და ვისაც სურს ისტორიულ პროცესში ჩაერიოს და მონაწილეობა მიიღოს, აქტიურობა გამოიჩინოს, მან ისტორიული ლოღიკით უნდა იხელმძღვანელოს და არა ფორმალური „მეტაფიზიკური“ ლოღიკით, როგორც ეს ხსენებულ ფედერალისტებს სჩვევიათ—განსაკუთრებით განსაკუთრებულ მოსამსახურეს რევოლუციისას, მოქ. თედო ღლონტს.

განვიხილოთ ზემოთ ამოწერილი დებულებები ჩვენი თვალსაზრისით.

კაპიტალიზმის პირველ საფეხურზე „ერთი ერის, ერთი სახელმწიფოს დროშის ქვეშ“ ბურჟუაზიის მეთაურობით და ხელმძღვანელობით შემოკრებილ იქნა ერის მშრომელი ელემენტები დიდრონ სახელოსნოებში, სადაც საქონლის დამზადება გაჩაღდა მასიური, მსხვილი ფორმით მეტათ ვრცელი ბაზრისათვის, მაგრამ წარმოებაში მანქანა ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული, ეს იყო მანუფაქტურის ხანა. განვლო დრომ, გაჩნდა მანქანა, მან მთავარი ალაგი დაიკავა წარმოებაში და მაშინ წარმოების წესიც და სახეც ძირიანათ შეიცვალა. ახლა დამკვიდრდა მსხვილი მანქანური ფორმა, რომელმაც შესაძლოთ გახადა წარმოებაში არა დახელოვნებულ მუშებსაც მონაწილეობა მიეღოთ. ამ გარემოებამ თვითი მრეწველობის მუშები ორ კატეგორიათ გაჰყო: დახელოვნებულ, მანუფაქტურულ მუშებათ და „უბრალო“ ანუ შავ მუშებათ. და აი კაპიტალის უცხო ქვეყნებში გასვლის ხანაში, როცა ერთი ერის კაპიტალისტი სხვა ქვეყნებში თავის კაპიტალს მიეზიდებოდა სამრეწველო საქმეში დასაბანდებლად იქ მას თავის ქვეყნიდან თავისი ერის შვილებიც, დახელოვნებული მუშებიც თან მიჰყავდა, ვინაიდან მას იქ, ადგილობრივათ ასეთები არ ეგულვებოდა. სამაგიეროთ იქ იგი „უბრალო“ მუშებს ბლომათ პოულობდა და მათ დაუზოგველ ექსპლოატაციას, რა თქმა უნდა, სულაც არ თაკილობდა. იგი ერთნაირათ ყულფდა თავის „მამულიშვილს“, დახელოვნებულ მუშას და უცხოერის „უბრალო“ მუშას. ამით მათ ერთ უღელში აბამდა და საერთო კლასობრივ გრძნობა აზრს უღვივებდა, ინტერნაციონალობას, „კოსმოპოლიტობას“ აჩვევდა. ასეთ პირობებში დახელოვნებული მუშისთვის „სამშობლო“ აღარ არსებობდა იმ აზრით, რა აზრითაც ეს „უბრალო“ მუშისთვის არსებობს, მაგრამ მეორე მხრით, „უბრალო“ მუშა კაპიტალისტთან ბრძოლაში თავს უმწეოთ გრძნობდა და ერთათ ერთ ხელმძღვანელს და მეთაურს აქ დახელოვნებულ მუშაში ხედავდა. ამნაირათ განმტკიცდა კლასობრივი კავშირი და სოლიდარობა მუშათა ამ ორ კატეგორიას შორის, და ეს მით უფრო, რომ მიმოსვლის საშუალებათა განვითარებამ ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით ტეხნიკურმა წარმატებამ კვალიფიციური შრომის უმთავრესათ მანქანებით შეცვლამ შეჰქმნა პირობები, რომლის ძალით უცხოეთში გადასახლება და გადასვლა-გადმოსვლა „უბრალო“ მუშებმაც დაიწყეს. ასე რომ სამშობლო მალე მათაც ხელიდან გამოეცალათ და მუშათა კლასი საერთოთ „უსამშობლოთ“ დარჩა. ჯერ კიდევ 1900 წელში მე ვნახე ბაქოს სამრეწველოებში ერთათ თავმოყრილი სხვადასხვა ერის და ხალხის წარმომადგენლები—მუშები, როგორც დახელოვნებულნი ისე „უბრალონი“: რუსები, პოლონელები, ლიტველები, ჩეხები, ნემცები, მერე: თათრები, სომხები, ქართველები, ლეკები და სხვა და სხვ. ამათი სამშობლო გეოგრაფიულათ, რასაკვირველია სხვადასხვა იყო, მაგრამ, როგორც საფუძველი მათი ეკონომიური კეთილდღეობისა ეს იყო აფშერონის ნახევარ კუნძული და იქ განვითარებული ნავთის მრეწველობა. აი ეს კუთხე იყო მათი „საერთო სამშობლო“, ხოლო მათი საერთო მტერი იყო ისეთივე ინტერნაციონალური ჯგუფი, როგორსაც თვითონ შეადგენდენ, ე. ი. სხვადასხვა ერის წარმომადგენელი კაპიტალისტები: ინგლისის, ამერიკის, გერმანიის, საფრანგეთის, რუსეთის და სხვადასხვა ქვეყნების.

როგორც ხედავთ აქ ცხოვრებამ ერთიანათ გააბათილა „ეროვნული სამშობლო“, როგორც საფუძველი და შეჰქმნა „საერთო სამშობლო“. ამნაირათ მუშათა კლასი გახადა ექსტერიტორიალური კლასი, ისე როგორც მსხვილი ბურჟუაზია. თუ მსხვილი ბურჟუაზიისთვის არ არსებობდა გეოგრაფიული „სამშობლო“, როგორც ეკონომიური კეთილ დღეობის წყარო, ის მუშებისთვისაც აღარ იყო ასეთი წყარო.

აქ ნაციონალისტების [illegible]ლოთ, ხოლო მუშებისთვის სამწუხაროთ, უნდა აღინიშნოს მხოლოთ ის, რომ მუშისთვის არსებობდა და ახლაც არსებობს „სამშობლო“, როგორც „ეროვნული კულტურა“, მაშინ როდესაც ბურჟუაზიისთვის „ეროვნული კულტურა“, დიდ საჭიროებას აღარ წარმოადგენდა და არც წარმოადგენს. ამ მხრით მუშა მართლაც უფრო „პატრიოტია“, ბურჟუა-კაპიტალისტი კი უფრო „კოსმოპოლიტი“.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ „ეროვნული კულტურა“, იგივე ე. ი. „სამშობლო“ და „ეროვნება“ მუშის საფუძველი იყოს. სულაც არა!

